

## ახალი ლიცენზიები/ნებართვები და ახალი პირობები

უკანასკნელი წლების განმავლობაში სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიებისა და ნებართვების სფეროს რეგულირების არაერთი მცდელობა იყო. პირველი ნაბიჯი იყო 2002 წლის 14 მაისს „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონის მიღება, რომელმაც გარკვეულწილად ერთიან ჩარჩოში მოაქცია სალიცენზიო და სანებართვო სისტემა. 2006 წლის აგვისტოში მიღებულ იქნა ახალი კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“.

კანონის ერთ-ერთ ნოვაციას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ნებისმიერი სახის საქმიანობის ან ქმედების (როგორც ორგანიზებული, ასევე არაორგანიზებული საქმიანობის თუ ქმედების) სახელმწიფო რეგულირება ლიცენზირებითა და ნებართვით ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა ან ქმედება უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესის სფეროებს. აღნიშნულის გათვალისწინებით კანონის პროექტის პრინციპებია:

- ა) ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა;
- ბ) ადამიანის საცხოვრებელი და კულტურული გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა;
- გ) სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.

ახალი კანონით დადგინდა ახალი ტიპის ლიცენზიები, როგორცაა საქმიანობის და სარგებლობის ლიცენზია, გენერალური და სპეციალური ლიცენზია. სარგებლობის ლიცენზია გულისხმობს სახელმწიფო რესურსებით სარგებლობის უფლების მინიჭებას, მისი გადაცემა (ნაწილობრივ ან მთლიანად) შესაძლებელია სხვა პირისთვის, მათ შორის მემკვიდრეობით. სარგებლობის ლიცენზიის საფუძველზე პირს აქვს უფლება განახორციელოს კანონით განსაზღვრული საქმიანობა, მისი გადაცემა სხვა პირისთვის ნებისმიერი სახით დაუშვებელია.

გენერალური ლიცენზია თავისთავში გულისხმობს ერთიანი ზოგადი ლიცენზიის საფუძველზე რამოდენიმე მსგავსი ტიპის საქმიანობების განხორციელებას, რომლებისთვისაც საჭირო აღარ არის ცალ-ცალკე ლიცენზიების მიღება. სპეციალური ლიცენზია კი გულისხმობს რომელიმე კონკრეტული ვიწრო საქმიანობის განხორციელების უფლებას.

ახალი კანონის მიხედვით დადგინდა ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის ახალი „ერთი სარკმლის“ პრინციპი, რომლის თანახმად ლიცენზიის ან ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო თავად უზრუნველყოფს დამატებითი სალიცენზიო ან სანებართვო პირობების სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადასტურებას. დამატებითი სალიცენზიო და სანებართვო პირობების დადასტურება დაკავშირებული უნდა იყოს ლიცენზიის ან ნებართვის გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებასთან. ამ პირობების დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებების მოპოვება უშუალოდ უნდა ემსახურებოდეს ლიცენზიის ან ნებართვის მიღების მიზანს.

დღეისათვის ახალი კანონის საფუძველზე მნიშვნელოვნად შემცირებულია ლიცენზირებას/ნებართვას დაქვემდებარებული სახეები.

## საქმიანობის ლიცენზიის სახეობი

საქმიანობის ლიცენზიის სახეობია:

1. ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოების ლიცენზია.
2. ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოების ლიცენზია.
3. ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია.
4. ბიოლოგიური პესტიციდების წარმოების ლიცენზია.
5. კონკრეტული სახეობის იარაღის წარმოების გენერალური ლიცენზია: კონკრეტული სახეობის იარაღის შეკეთების სპეციალური ლიცენზია.
6. სამხედრო-საბრძოლო იარაღის დამზადების, წარმოების გენერალური ლიცენზია.
7. სამხედრო-საბრძოლო იარაღის შეკეთების (მოდერნიზებისა და ადგილზე მომსახურების ჩათვლით) გენერალური ლიცენზია.
8. სამხედრო-საბრძოლო იარაღით ვაჭრობის გენერალური ლიცენზია.
9. კონკრეტული სახეობის იარაღით ვაჭრობის ლიცენზია.
10. დაკვირვების ელექტრონული საშუალებების დამზადების, შექმნის, იმპორტის ან ექსპორტის ლიცენზია.
11. კერძო მაუწყებლობის ლიცენზია.
12. სათემო მაუწყებლობის ლიცენზია.
13. ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია.
14. ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზია.
15. ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ლიცენზია.
16. ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზია.
17. ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია.
18. ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზია.
19. ნავთობის გადამუშავების ლიცენზია.
20. ბუნებრივი გაზის დამუშავების ლიცენზია.
21. ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზია.
22. ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური ლიცენზია:
  - ა) დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;
  - ბ) საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;
  - გ) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.
23. დაწყებითი პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის, გარდა დამატებითი პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობისა, ლიცენზია.
24. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია.
25. მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა საადმინისტრაციო საქმიანობის ლიცენზია.
26. უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია.
27. სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზია.
28. დაზღვევის ლიცენზია (არა სიცოცხლისა).
29. გადაზღვევის ლიცენზია.
30. საბანკო საქმიანობის ლიცენზია.
31. არასაბანკო-სადეპოზიტო - საკრედიტო საქმიანობის ლიცენზია.
32. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზია.
33. საბროკერო საქმიანობის ლიცენზია.

34. საფონდო ბირჟის ლიცენზია.
35. ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზია.
36. აქტივების მმართველის საქმიანობის ლიცენზია.
37. სპეციალიზებული დეპოზიტარის ლიცენზია.
38. აივ-ინფექციის/შიდსის მკურნალობის ლიცენზია.
39. კლინიკური იმუნოლოგიის და ალერგიულ სნეულებათა სტაციონარული მკურნალობის გენერალური ლიცენზია:
  - ა) ბავშვთა კლინიკური იმუნოლოგიის და ალერგიულ სნეულებათა სტაციონარული მკურნალობის სპეციალური ლიცენზია;
  - ბ) მოზრდილთა კლინიკური იმუნოლოგიის და ალერგიულ სნეულებათა სტაციონარული მკურნალობის სპეციალური ლიცენზია.
40. ანგიოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:
  - ა) ბავშვთა ანგიოლოგიური საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;
  - ბ) მოზრდილთა ანგიოლოგიური საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.
41. განსაკუთრებით საშიშ ინფექციებზე საქმიანობის ლიცენზია.
42. სტაციონარული გინეკოლოგიური საქმიანობის გენერალური ლიცენზია:
  - ა) ბავშვთა გინეკოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;
  - ბ) მოზრდილთა გინეკოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;
  - გ) გინეკოლოგიური ამბულატორიული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.
43. ენდოკრინულ ავადმყოფობათა სტაციონარული მკურნალობის გენერალური ლიცენზია:
  - ა) ბავშვთა ენდოკრინულ ავადმყოფობათა სტაციონარული მკურნალობის სპეციალური ლიცენზია;
  - ბ) მოზრდილთა ენდოკრინულ ავადმყოფობათა სტაციონარული მკურნალობის სპეციალური ლიცენზია.
44. თერაპიული სტაციონარული საქმიანობის ლიცენზია.
45. ინფექციურ სნეულებათა სტაციონარული მკურნალობის გენერალური ლიცენზია:
  - ა) ბავშვთა ინფექციურ სნეულებათა სტაციონარული მკურნალობის გენერალური ლიცენზია;
  - ა.ა) ბავშვთა ინფექციურ სნეულებათა ამბულატორიული მკურნალობის სპეციალური ლიცენზია;
  - ბ) მოზრდილთა ინფექციურ სნეულებათა სტაციონარული მკურნალობის გენერალური ლიცენზია;
  - ბ.ა) მოზრდილთა ინფექციურ სნეულებათა ამბულატორიული მკურნალობის სპეციალური ლიცენზია.
46. კარდიორევმატოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:
  - ა) ბავშვთა კარდიორევმატოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;
  - ბ) მოზრდილთა კარდიორევმატოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.
47. კარდიოქირურგიული სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:
  - ა) ბავშვთა კარდიოქირურგიული სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;



- ა) ბავშვთა ონკოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:
  - ა.ა) ბავშვთა ონკოლოგიური ამბულატორიული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;
  - ბ) მოზრდილთა ონკოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:
  - ბ.ა) მოზრდილთა ონკოლოგიური ამბულატორიული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.
59. ორგანოების და ქსოვილების აღების, შენახვის, გადანერგვის ლიცენზია.
60. ოტორინოლარინგოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:
- ა) ბავშვთა ოტორინოლარინგოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;
  - ბ) მოზრდილთა ოტორინოლარინგოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.
61. ოფთალმოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:
- ა) ბავშვთა ოფთალმოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;
  - ბ) მოზრდილთა ოფთალმოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.
62. პედიატრიული სტაციონარული საქმიანობის ლიცენზია.
63. პროქტოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:
- ა) ბავშვთა პროქტოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;
  - ბ) მოზრდილთა პროქტოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.
64. რადიოლოგიური სტაციონარული საქმიანობის ლიცენზია:
- ა) ბავშვთა რადიოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია;
  - ა.ა) ბავშვთა რადიოლოგიური ამბულატორიული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;
  - ბ) მოზრდილთა რადიოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია;
  - ბ.ა) მოზრდილთა რადიოლოგიური ამბულატორიული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.
65. რადიოლოგიური დიაგნოსტიკის ლიცენზია.
66. რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკის ლიცენზია.
67. პარაზიტულ სნეულებათა სტაციონარული მკურნალობის გენერალური ლიცენზია:
- ა) ბავშვთა პარაზიტულ სნეულებათა სტაციონარული მკურნალობის სპეციალური ლიცენზია;
  - ბ) მოზრდილთა პარაზიტულ სნეულებათა სტაციონარული მკურნალობის სპეციალური ლიცენზია.
68. სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ლიცენზია.
69. საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური საქმიანობის ლიცენზია.
70. ქირურგიული სტომატოლოგიის სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:
- ა) ბავშვთა ქირურგიული სტომატოლოგიის სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;



79. ჩირქოვანი ქირურგიის სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:
- ა) ბავშვთა ჩირქოვანი ქირურგიის სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;
  - ბ) მოზრდილთა ჩირქოვანი ქირურგიის სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.
80. ჰემატოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:
- ა) ბავშვთა ჰემატოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;
  - ბ) მოზრდილთა ჰემატოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

## საქმიანობის ლიცენზიის გაცემის პირობები და პროცედურები

საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად პირმა უნდა წარადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტები:

1. წერილობითი განცხადება, რომელშიც აუცილებლად უნდა მიეთითოს თუ რა სახის საქმიანობაზე სურს ლიცენზიის მიღება;
2. განცხადებას თან უნდა დაერთოს: იურიდიული პირისთვის და ინდივიდუალური მეწარმისთვის – ამონაწერი რეესტრიდან; ფიზიკური პირისთვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი საბუთების ასლი, იურიდიულმა პირმა დამატებით უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;
3. სალიცენზიო მოსაკრებლის დამადასტურებელი საბუთი;
4. საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე მისთვის დადგენილი დამატებითი სალიცენზიო პირობების დამადასტურებელი დოკუმენტები.

თუ ლიცენზიის მაძიებელი მოითხოვს ლიცენზიის მიღებას ისეთ საქმიანობაზე, რომელშიც მას უკვე გააჩნია ლიცენზია, გამცემი ორგანო აღარ იკვლევს იმ სალიცენზიო პირობების დამაკმაყოფილებელ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც დადგინდა წინა ლიცენზიის გაცემისას.

ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია წარმოადგინოს დამატებითი სალიცენზიო პირობების დამაკმაყოფილებელი ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა დადასტურება უშუალოდ არ არის დაკავშირებული ლიცენზიის გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებასთან.

ლიცენზიის მაძიებელი უფლებამოსილია არ წარადგინოს დამატებითი სალიცენზიო პირობების დამაკმაყოფილებელი ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი ისეთი დოკუმენტები, რომლებიც გაიცემა სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და ლიცენზიის გაცემის საფუძველია.

სხვა ადმინისტრაციული ორგანო მონაწილეობს ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებულ საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაში და ვალდებულია შესაბამისი წესით დაადგინოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა დადასტურების წარმოდგენა ლიცენზიის მაძიებელს არ ევალება. სხვა ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დასაბუთებული უარი განაცხადოს აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დადგენაზე.

სხვა ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიიღოს ფაქტობრივი გარემოებების დადგენის ან დადგენაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება განცხადებისა და თანდართული საბუთების ასლების ლიცენზიის გამცემისთვის წარდგენიდან არა უგვიანეს 25 დღისა. თუ ფაქტობრივი გარემოებების დადგენისათვის არ არის საკმარისი აღნიშნული ვადა, სხვა ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განცხადებისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა დასაბუთებული შუამდგომლობით მოითხოვოს ვადის გაგრძელება. სხვა ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ვალდებულია განცხადების ლიცენზიის გამცემისთვის წარდგენიდან არა უგვიანეს 27 დღისა წარუდგინოს გადაწყვეტილება ლიცენზიის გამცემს.

თუ დადგენილ ვადაში სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ განხორციელდა ფაქტობრივი გარემოების შესაბამისი წესით დადასტურება ან დასაბუთებული უარი მის დადასტურებაზე, კანონმდებლობით დადგენილი დამატებითი სალიცენზიო პირობები დაკმაყოფილებულად ჩაითვლება.

თუ ლიცენზიით გათვალისწინებულ საქმიანობას ახორციელებს იურიდიული პირი, აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება აქვს ამ იურიდიული პირის ფილიალსაც. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ფილიალის მიერ ლიცენზირებადი საქმიანობის განხორციელებისათვის წინასწარ აცნობოს ლიცენზიის გამცემს ფილიალის მიერ სალიცენზიო პირობების დაკმაყოფილების შესახებ. დაუშვებელია ლიცენზიის გამცემის მიერ ისეთი დამატებითი პირობის ან რეჟიმის დაწესება, რომელიც თავისი შინაარსით გულისხმობს საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი იურიდიული პირის ფილიალისათვის ცალკე ლიცენზიის გაცემას.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის თანახმად საქმიანობის ლიცენზია გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წესით და მისი გაცემის ვადაა განცხადების შეტანიდან 30 დღე. საქმიანობის ლიცენზია გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.

**საქმიანობის ლიცენზიის გაცემის წესი**

პროცედურა	ვადები
განცხადების რეგისტრაცია	მიღებისთანავე
განცხადების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა	განცხადების მიღებიდან 3 დღეში
სხვა ადმინისტრაციული ორგანოსათვის დოკუმენტების ასლების გადაგზავნა	შესაბამისობის დადგენიდან 3 დღის ვადაში
საჯარო გაცნობისათვის ცნობის გამოქვეყნება	განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ
დოკუმენტების საჯარო გაცნობა, მოსაზრებების წარდგენა	ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღეში
სხვა ადმინისტრაციული ორგანოდან შესაბამისი დოკუმენტების, ასლების, დასკვნების მიღება	განცხადების შეტანიდან 25 დღის ვადაში

ზეპირი მოსმენა	მოსაზრებების წარდგენის ვადის გასვლიდან არა უგვიანეს 7 დღისა
ადმინისტრაციული აქტის გამოცემა	განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში

ლიცენზიის გამცემი ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში ლიცენზიის გამცემი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს დასაბუთებული უარი ლიცენზიის მაძიებელს.

თუ ადმინისტრაციული წარმოების დროს დადგინდა, რომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად აუცილებელია კანონით განსაზღვრულ ვადაზე მეტი, ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების ვადის არა უმეტეს 3 თვემდე გაგრძელების თაობაზე. ამ შემთხვევაში გამცემი ორგანო ვალდებულია აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღოს განცხადების წარდგენიდან 15 დღის ვადაში.

აქვე აღსანიშნავია, რომ თუ კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ლიცენზიის გაცემა კანონით განსაზღვრულ ვადაში, გამცემი ორგანოს დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას ვადის დამატებით 3 თვემდე გაგრძელების თაობაზე. ლიცენზიის გამცემი ვალდებულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ლიცენზიის მაძიებელს.

ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების 3 ან 6 თვემდე გაგრძელების შემთხვევაში ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია სხვა ადმინისტრაციული ორგანოს დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების ვადის 2 თვემდე გაგრძელების შესახებ.

ლიცენზიის მაძიებელი უფლებამოსილია ლიცენზიის გაცემისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოითხოვოს სალიცენზიო მოწმობა. ლიცენზიის გამცემი ვალდებულია დაუყოვნებლივ გასცეს სალიცენზიო მოწმობა.

სალიცენზიო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი გამცემ ორგანოს მიმართავს წერილობითი განცხადებით სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატის გაცემის თაობაზე, რომლის მიღებიდან 2 დღის ვადაში გაიცემა აღნიშნული დუბლიკატი.

**საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძველებია:**

1. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობა კანონის მოთხოვნებთან და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა გამოსწორებული ლიცენზიის მაძიებლის მიერ;
2. ლიცენზიის მაძიებელის მიერ კანონით დადგენილი სალიცენზიო პირობების დაუკმაყოფილებლობა;

3. ლიცენზიის მაძიებლისთვის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით შესაბამის ლიცენზირებად სფეროში საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

### **საქმიანობის ლიცენზიის ამოქმედება**

საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელი უფლებამოსილია სალიცენზიო მოწმობის მიღებამდე შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე განახორციელოს ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა.

ლიცენზიის გამცემის მიერ კანონით განსაზღვრულ ვადაში ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს შეუძლია განახორციელოს ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა მხოლოდ სალიცენზიო მოწმობის მიღების შემდეგ.

ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია სალიცენზიო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში მოწმობის აღდგენამდე განახორციელოს სალიცენზიო საქმიანობა შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.

ლიცენზიის გამცემი ვალდებულია განცხადების დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად გასცეს შესაბამისი სალიცენზიო მოწმობა.

### **სარეგულაციო ლიცენზიის სახეები და მისი გაცემის წესი**

#### **სარეგულაციო ლიცენზიის სახეები**

სარეგულაციო ლიცენზიის სახეებია

1. სასარეგულო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია.
2. მიწისქვეშა სივრცის გამოყენების ლიცენზია.
3. ნავთობისა და გაზის რესურსებით სარეგულაციო გენერალური ლიცენზია:
  - ა) ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების სპეციალური ლიცენზია;
  - ბ) ნავთობისა და გაზის მოპოვების სპეციალური ლიცენზია.
4. ტყით სარეგულაციო გენერალური ლიცენზია:
  - ა) ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია;
  - ბ) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია.
5. თევზჭერის ლიცენზია.
6. რეგულაციო საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ლიცენზია (თუ შეზღუდვა შეთანხმებულ საზღვრებზე ფრენების სიხშირეებსა და დანიშნული ავიაგადამზიდველების რაოდენობაზე დადგენილია საერთაშორისო ხელშეკრულებით).
7. ნუმერაციის რესურსით სარეგულაციო ლიცენზია;
8. რადიოსიხშირული სპექტრით სარეგულაციო ლიცენზია.
9. ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარეგულაციო ლიცენზია.

## სარგებლობის ლიცენზიის გაცემის პირობები და პროცედურები

სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

1. წერილობითი განცხადება, რომელშიც აუცილებლად უნდა მიეთითოს თუ რა სახის საქმიანობაზე სურს ლიცენზიის მიღება;
2. განცხადებას თან უნდა დაეთოს: იურიდიული პირისთვის და ინდივიდუალური მეწარმისთვის – ამონაწერი რეესტრიდან; ფიზიკური პირისთვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი საბუთების ასლი, იურიდიულმა პირმა დამატებით უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;
3. სალიცენზიო მოსაკრებლის დამადასტურებელი საბუთი.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადება მიიღება აუქციონის გამართვამდე არა უგვიანეს 15 დღისა. იმ შემთხვევაში, თუ პირი განცხადების წარდგენის ვადის ამოწურვამდე უარს განაცხადებს აუქციონში მონაწილეობაზე, მას უკან დაუბრუნდება გადახდილი სალიცენზიო მოსაკრებელი.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის თანახმად კონკრეტულ სახელმწიფო რესურსზე სარგებლობის ლიცენზიის გაცემა ხდება აუქციონის საფუძველზე, რომლის დაწყების საფუძველი შესაძლოა იყოს როგორც ლიცენზიის მაძიებლის განცხადება, ისე შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება.

სახელმწიფო რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემისთვის დგინდება:

1. მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის;
2. დამატებითი სალიცენზიო პირობები.

ლიცენზიის გამცემმა სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტისათვის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, შეიძლება დაადგინოს სარგებლობის რაოდენობრივი, თვისობრივი და დროში განსაზღვრული ნორმები და წესები.

აუქციონის წესით ლიცენზია გაიცემა სარგებლობისთვის დადგენილი ნორმებისა და წესების დაკმაყოფილებისა და ყველაზე მაღალი ფასის წარმოდგენის საფუძველზე. აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა ლიცენზიის მაძიებელს, რომელიც დააკმაყოფილებს კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს და აიღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს სარგებლობის ლიცენზიის გამცემის მიერ განსაზღვრული მოთხოვნები.

კონკრეტული სახელმწიფო რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციას ლიცენზიის გამცემი აუქციონის ჩატარებამდე არა უადრეს ერთი თვისა აქვეყნებს ცენტრალურ პრესაში. ასევე შესაძლებელია ინფორმაციის გავრცელებისათვის გამოყენებულ იქნეს დამატებით სხვა საშუალებებიც.

გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

1. ლიცენზიის გამცემის დასახელებას;
2. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტულ ობიექტს;
3. ლიცენზიის მაძიებლის მიერ განცხადების მიღებისა და აუქციონის გამართვის ვადებს;

4. კანონმდებლობით დადგენილ სალიცენზიო პირობებს;
5. მოთხოვნებს კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის;
6. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებს;
7. სხვა მონაცემებს - ლიცენზიის გამცემის გადაწყვეტილებით.

სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტის, რომელზედაც გაიცემა სარგებლობის ლიცენზია, რაოდენობას, მოცულობასა და სარგებლობის წესს განსაზღვრავს ლიცენზიის გამცემი. აუქციონის ჩატარების, გამარჯვებულის გამოვლენისა და შესაბამისი სალიცენზიო მოწმობის გაცემის წესი დგინდება ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

დაუშვებელია სარგებლობის ლიცენზიის უვადოდ გაცემა. ვადის განსაზღვრისას გაითვალისწინება სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტის თვისება და სარგებლობის ტექნოლოგიური ხასიათი.

სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია რამდენიმე ნაწილად დაყოს სარგებლობის ლიცენზია და სარგებლობის უფლება ან მისი ნაწილი იჯარით ან საკუთრებაში გადასცეს სხვა პირს.

ამ შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შესაბამისი საბუთები წარუდგინოს ლიცენზიის გამცემს, რომელსაც 3 დღის ვადაში შეაქვს ცვლილებები სალიცენზიო რეესტრში და გასცემს შესაბამის სალიცენზიო მოწმობას.

დაუშვებელია სარგებლობის ლიცენზიის მთლიანად ან მისი ნაწილის სხვა პირისათვის გადაცემა, როდესაც ლიცენზიის მფლობელს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ჩამორთმეული აქვს შესაბამის ლიცენზირებად სფეროში საქმიანობის უფლება.

სალიცენზიო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი (მისი წარმომადგენელი) ლიცენზიის გამცემს მიმართავს წერილობითი განცხადებით სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატის გაცემის თაობაზე, რომლის მიღებიდან 2 დღის ვადაში გაიცემა სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატი.

#### **კონტროლი სალიცენზიო პირობების შესრულებაზე და შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომები**

ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შესრულებას აკონტროლებს ლიცენზიის გამცემი, თუ აღნიშნული ფუნქცია კანონმდებლობით სხვა ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას არ განეკუთვნება.

ლიცენზიის გამცემი კონტროლს ახორციელებს მხოლოდ სალიცენზიო პირობების შესრულების შერჩევითი შემოწმებით ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ რეგულარული ანგარიშგებით. ლიცენზიის გამცემის გადაწყვეტილებით შერჩევითი შემოწმების განხორციელებაში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღონ სხვა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლებმა.

სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლი ლიცენზიის გამცემს შეუძლია განახორციელოს კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ. თავის მხრივ ლიცენზიის მფლობელი ყოველწლიურად, 1 აპრილიდან 1 მაისამდე ახორციელებს სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგებას. ანგარიშგება ხდება ლიცენზიის გამცემისთვის წერილობით წარდგენით. ლიცენზიის მფლობელი, რომელიც ლიცენზიას მიიღებს საანგარიშგებო პერიოდის დაწყებამდე 6 თვის განმავლობაში, ვალდებული არ არის ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს ანგარიშგება.

თუ წარმოდგენილი ანგარიშგებით ნათლად არ არის დეკლარირებული ან საერთოდ არ არის მითითებული სალიცენზიო პირობების დაცვის ფაქტი, ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია მიმართოს ლიცენზიის მფლობელს და მოითხოვოს სალიცენზიო პირობების გონივრულ ვადაში დაცვის შესრულების დამადასტურებელი ინფორმაცია.

ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმებას, რის შემდეგაც ლიცენზიის გამცემი განსაზღვრავს გონივრულ ვადას სალიცენზიო პირობების დაკმაყოფილებისათვის და დაადგენს იმ პირობებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია კონკრეტული საქმიანობის განხორციელებისათვის.

პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, დადგენილ ვადაში ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას. გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობები არ იქნება დაკმაყოფილებული, დაკისრებული ჯარიმა გასამმაგდება.

თუ ზემოაღნიშნული ჯარიმების მიუხედავად ლიცენზიის მფლობელის მიერ არ იქნა უზრუნველყოფილი სალიცენზიო პირობების შესრულება, ლიცენზიის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაუქმების შესახებ. პასუხისმგებლობა, ლიცენზიის გაუქმების სახით, გამოიყენება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმება ვერ უზრუნველყოფს სალიცენზიო პირობების შესრულებას და ლიცენზიის გამცემი დაასაბუთებს, რომ ლიცენზიის გაუქმება არ გამოიწვევს უფრო მეტ ზიანს, ვიდრე ლიცენზიის მოქმედება.

## სანებაართვო სახეები

სანებაართვო სახეებია

1. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის ნებაართვა.
2. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებაართვა.
3. ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებაართვა.
4. გარემოზე ზემოქმედების ნებაართვა.
5. ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების ნებაართვა.
6. ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვების ნებაართვა.
7. შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებაართვა (შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სია განისაზღვრება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით).
8. სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებაართვა.
9. ბირთვული, რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებების ან რადიაქტიური ნარჩენების შექმნის ნებაართვა.
10. ბირთვული, რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებების, რადიაქტიური ნარჩენების, მინერალების (წიაღისეულის), რომლებისგანაც პრაქტიკულად შესაძლებელია ბირთვული მასალების მიღება, ყველაფრის, რაც დამზადებულია ბირთვული მასალისაგან ან რადიაქტიური ნივთიერებისაგან ან შეიცავს მათ, როგორც შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე ბირთვული ტექნოლოგიების, ან ნოუ-ჰაუების ექსპორტის, იმპორტის ან ტრანზიტის ნებაართვა.
11. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებაართვა.
12. ნადირობის ნებაართვა.
13. იარაღის შექმნის (შენახვის უფლებით) ნებაართვა.
14. იარაღის შექმნის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებაართვა.
15. უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ იარაღის საქართველოში შექმნის ნებაართვა.
16. ტირის, სასროლეთის და სასროლო-სანადირო სტენდის მოწყობის ნებაართვა.
17. იარაღისა და საბრძოლო მასალის იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებაართვა.
18. სამხედრო-საბრძოლო იარაღის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის, საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების, საქართველოს ტერიტორიის გარეთ გადამუშავებისა და დროებითი შემოტანის ან/და გატანის ნებაართვა.
19. იარაღის კოლექციონირებისა და ექსპონირების ნებაართვა.

20. უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის ნებართვა.
21. იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვის ნებართვა.
22. იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაგზავნის ნებართვა.
23. იარაღის ერთი სახეობის ცალკეული ეგზემპლარების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის (გარდა ექსპორტ-იმპორტისა, ტრანზიტისა და რეექსპორტისა) ნებართვა.
24. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვა.
25. განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების, მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის ნებართვა.
26. საშიში საწარმოო ობიექტების ექსპლუატაციის ნებართვა.
27. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვა.
28. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა.
29. საავიაციო სამუშაოების წარმოებისა და არარეგულარული საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ნებართვა.
30. საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი საერთაშორისო საავტომობილო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვა.
31. საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დადგენილი საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის ნებართვა.
32. საქართველოს ტერიტორიიდან საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის (საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე დადგენილი კვოტის ზევით) ნებართვა, რომელსაც ახორციელებს უცხო ქვეყნის გადამზიდველი.
33. უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვა.
34. საბაჟო საწყობის (ღია, ან/და დახურული) საქმიანობის ნებართვა.
35. დროებითი შენახვის საწყობის (ღია, ან/და დახურული) საქმიანობის ნებართვა.
36. სამორინეს მოწყობის ნებართვა.
37. სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვა.
38. ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვა.
39. ლოტოს მოწყობის ნებართვა.
40. ბინგოს მოწყობის ნებართვა.
41. წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვა.
42. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის ან ექსპორტის ნებართვა.
43. ფარმაკოლოგიური საშუალების კლინიკური კვლევის ნებართვა.
44. ფარმაცევტული წარმოების (სამკურნალო საშუალებებისა, გარდა ნარკოტიკული საშუალებებისა) ნებართვა.
45. I ჯგუფის აფთიაქის მოწყობის ნებართვა.
46. II ჯგუფის აფთიაქის მოწყობის ნებართვა.
47. სააფთიაქო პუნქტის მოწყობის ნებართვა.
48. არაიოდიზებული მარილის იმპორტის ნებართვა.
49. ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე სამუშაოების ნებართვა.
50. არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვა.
51. საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის ნებართვა.

## ნებართვის გაცემის პირობები და პროცედურები

ნებართვის მისაღებად პირმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. წერილობითი განცხადება, რომელშიც აუცილებლად უნდა მიეთითოს თუ რა სახის საქმიანობაზე სურს ნებართვის მიღება;
2. განცხადებას თან უნდა დაერთოს: იურიდიული პირისთვის და ინდივიდუალური მეწარმისთვის – ამონაწერი რეესტრიდან; ფიზიკური პირისთვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი საბუთების ასლი, იურიდიულმა პირმა დამატებით უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;
3. სანებართვო მოსაკრებლის დამადასტურებელი საბუთი;
4. საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე მისთვის დადგენილი დამატებითი სალიცენზიო პირობების დამადასტურებელი დოკუმენტები.

თუ ნებართვის მაძიებელი მოითხოვს ნებართვის მიღებას ისეთ საქმიანობაზე, რომელშიც მას უკვე გააჩნია ნებართვა, გამცემი ორგანო აღარ იკვლევს იმ სანებართვო პირობების დამაკმაყოფილებელ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც დადგინდა წინა ნებართვის გაცემისას.

ნებართვის მაძიებელი ვალდებულია წარმოადგინოს დამატებითი სანებართვო პირობების დამაკმაყოფილებელი ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა დადასტურება უშუალოდ არ არის დაკავშირებული ნებართვის გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებასთან.

ნებართვის მაძიებელი უფლებამოსილია არ წარადგინოს დამატებითი სალიცენზიო პირობების დამაკმაყოფილებელი ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი ისეთი დოკუმენტები, რომლებიც გაიცემა სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და ლიცენზიის გაცემის საფუძველია.

სხვა ადმინისტრაციული ორგანო მონაწილეობს ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ მარტივ ადმინისტრაციულ წარმოებაში და ვალდებულია შესაბამისი წესით დაადგინოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა დადასტურების წარმოდგენა ნებართვის მაძიებელს არ ევალება. სხვა ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დასაბუთებული უარი განაცხადოს აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დადგენაზე.

სხვა ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიიღოს ფაქტობრივი გარემოებების დადგენის ან დადგენაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება განცხადებისა და თანდართული საბუთების ასლების ნებართვის გამცემისთვის წარდგენიდან არა უგვიანეს 15 დღისა. თუ ფაქტობრივი გარემოებების დადგენისათვის არ არის საკმარისი აღნიშნული ვადა, სხვა ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განცხადებისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა დასაბუთებული შუამდგომლობით მოითხოვოს ვადის გაგრძელება. სხვა ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ვალდებულია განცხადების ნებართვის გამცემისთვის წარდგენიდან არა უგვიანეს 17 დღისა წარუდგინოს გადაწყვეტილება გამცემ ორგანოს.

თუ დადგენილ ვადაში სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ განხორციელდა ფაქტობრივი გარემოების შესაბამისი წესით დადასტურება ან დასაბუთებული უარი მის დადასტურებაზე, კანონმდებლობით დადგენილი დამატებითი სანებართვო პირობები დაკმაყოფილებულად ჩაითვლება.

თუ ნებართვით გათვალისწინებულ ქმედებას ახორციელებს იურიდიული პირი, აღნიშნული ქმედების განხორციელების უფლებამოსილება აქვს ამ იურიდიული პირის ფილიალსაც. ნებართვის მფლობელი ვალდებულია ფილიალის მიერ სანებართვო ქმედების განხორციელებისათვის წინასწარ აცნობოს გამცემ ორგანოს ფილიალის მიერ სანებართვო პირობების დაკმაყოფილების შესახებ. დაუშვებელია ნებართვის გამცემის მიერ ისეთი დამატებითი პირობის ან რეჟიმის დაწესება, რომელიც თავისი შინაარსით გულისხმობს ნებართვის მფლობელი იურიდიული პირის ფილიალისთვის ცალკე დოკუმენტის გაცემას.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის თანახმად ნებართვა გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წესით და მისი გაცემის ვადაა 20 დღე. ნებართვა გაიცემა ერთჯერადად, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ნებართვის მოქმედების განსაზღვრული ვადა ავტომატურად გაგრძელდება, თუ ამ ნებართვასთან დაკავშირებული სანებართვო პირობები კანონმდებლობით არ შეცვლილა და ნებართვის მფლობელი წარადგენს წერილობით განცხადებას კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ ქვითართან ერთად.

**ნებართვის გაცემის წესი**

პროცედურა	ვადა
განცხადების რეგისტრაცია	მიღებისთანავე
განცხადების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა	განცხადების მიღებიდან 3 დღეში
სხვა ადმინისტრაციული ორგანოსათვის დოკუმენტების ასლების გადაგზავნა	შესაბამისობის დადგენიდან 3 დღის ვადაში
სხვა ადმინისტრაციული ორგანოდან შესაბამისი დოკუმენტების, ასლების, დასკვნების მიღება	განცხადების შეტანიდან 15 დღის ვადაში
ადმინისტრაციული აქტის გამოცემა	20 დღის ვადაში

ნებართვის გამცემი ვალდებულია ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს განცხადების წარდგენიდან 20 დღის ვადაში. თუ აღნიშნულ ვადაში არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, ნებართვა გაცემულად ჩაითვლება.

თუ ადმინისტრაციული წარმოების დროს დადგინდა, რომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად აუცილებელია კანონით განსაზღვრულ ვადაზე მეტი, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების ვადის არა უმეტეს 3 თვემდე გაგრძელების თაობაზე. ამ შემთხვევაში გამცემი ორგანო ვალდებულია აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღოს განცხადების წარდგენიდან 15 დღის ვადაში.

აქვე აღსანიშნავია, რომ თუ კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ნებართვის გაცემა კანონით განსაზღვრულ ვადაში, გამცემი ორგანოს დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას ვადის დამატებით 3 თვემდე გაგრძელების

თაობაზე. ნებართვის გამცემი ვალდებულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მაძიებელს.

ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების 3 ან 6 თვემდე გაგრძელების შემთხვევაში გამცემი ორგანო უფლებამოსილია სხვა ადმინისტრაციული ორგანოს დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების ვადის 2 თვემდე გაგრძელების შესახებ.

ნებართვის მაძიებელი უფლებამოსილია ნებართვის გაცემისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოითხოვოს სანებართვო მოწმობა, ხოლო გამცემი ორგანო ვალდებულია დაუყოვნებლივ გასცეს იგი.

ნებართვო მოწმობის (გარდა კვოტების ფარგლებში გაცემული საერთაშორისო საავტომობილო ერთჯერადი გადაზიდვის ნებართვისა) დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ნებართვის მფლობელი გამცემ ორგანოს მიმართავს წერილობითი განცხადებით სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის თაობაზე, რომლის მიღებიდან 2 დღის ვადაში გაიცემა აღნიშნული დოკუმენტი.

#### **ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველებია:**

4. ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობა კანონის მოთხოვნებთან და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა გამოსწორებული მაძიებლის მიერ;
5. ნებართვის მაძიებლის მიერ კანონით ან კანონის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობი (მმართველობის) წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი სალიცენზიო პირობების დაუკმაყოფილებლობა;
6. ნებართვის მაძიებლისთვის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით შესაბამის სანებართვო სფეროში საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

#### **ნებართვის ამოქმედება**

ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ნებართვის მაძიებელი უფლებამოსილია სანებართვო მოწმობის მიღებამდე შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე განახორციელოს ნებართვით გათვალისწინებული ქმედება.

ნებართვის გამცემის მიერ კანონით განსაზღვრულ ვადაში ნებართვის გაცემის ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში ნებართვის მაძიებელს შეუძლია განახორციელოს ნებართვით გათვალისწინებული ქმედება მხოლოდ სანებართვო მოწმობის მიღების შემდეგ.

ნებართვის მფლობელი უფლებამოსილია სანებართვო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში მოწმობის აღდგენამდე განახორციელოს სანებართვო ქმედება შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.

ნებართვის გამცემი ვალდებულია განცხადების დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად გასცეს შესაბამისი სანებართვო მოწმობა.

**კონტროლი სანებართვო პირობების შესრულებაზე და შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომები**

ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულებას აკონტროლებს გამცემი ორგანო, თუ აღნიშნული ფუნქცია კანონმდებლობით სხვა ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას არ განეკუთვნება.

ნებართვის გამცემი კონტროლს ახორციელებს მხოლოდ სანებართვო პირობების შესრულების შერჩევითი შემოწმებით. ნებართვის გამცემის გადაწყვეტილებით შერჩევითი შემოწმების განხორციელებაში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღონ სხვა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლებმა. სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი გამცემ ორგანოს შეუძლია განახორციელოს კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ.

ნებართვის მფლობელის მიერ კანონით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას, რის შემდეგაც ნებართვის გამცემი განსაზღვრავს გონივრულ ვადას პირობების დაკმაყოფილებისათვის და დაადგენს იმ პირობებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია კონკრეტული საქმიანობის განხორციელებისათვის.

პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, დადგენილ ვადაში ნებართვის მფლობელის მიერ პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას. გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ ნებართვის მფლობელის მიერ პირობები არ იქნება დაკმაყოფილებული, დაკისრებული ჯარიმა გასამმაგდება.

თუ ზემოაღნიშნული ჯარიმების მიუხედავად ნებართვის მფლობელის მიერ არ იქნა უზრუნველყოფილი პირობების შესრულება, გამცემი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის გაუქმების შესახებ.